



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
დიდი პალატა

მუკამალი და მუკამალი რუმიანეთის წინააღმდეგ

(განაცხადი N 80982/12)

სამართლებრივი შეჯამება

არაოფიციალური თარგმანი

*გომგადებულია თბილისის სააკულაციო სასამართლოს
თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ*

სტრასბურგი

15 თებერვალი, 2020 წელი



მუშაგადი და მუშაგადი რუმინეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]

განაცხადი N 80982/12, 15.10.2020

მეშვიდე ოქმის პირველი მუხლი

უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიები

ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვის მიზნით პირის გაძევების თაობაზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება საიდუმლო ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც განმცხადებლისთვის არ გამჟღავნებულა, სათანადო დამაბალანსებელი გარანტიების გარეშე: *დადგინდა კონვენციის დარღვევა*

ფაქტობრივი ბარემოებები:

განმცხადებლები - პაკისტანის მოქალაქეები, რომლებიც სტუდენტური ვიზის საფუძველზე ცხოვრობენ რუმინეთში, ეროვნული უსაფრთხოების დაცვის საფუძველით გააძევეს ქვეყნიდან. ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა საიდუმლო ინფორმაციას. განმცხადებლებს არათუ არ ჰქონდათ აღნიშნულ დოკუმენტებზე წვდომა, არამედ მათ არც კი მიაწოდეს რაიმე კონკრეტული ინფორმაცია ხსენებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი გარემოებების და საფუძველების შესახებ.

ბამოსაყენებელი ნორმა - მეშვიდე ოქმის პირველი მუხლი

ზოგადი პრინციპები

(ა) იყო თუ არა დაცული განმცხადებელთა უფლებები მეშვიდე ოქმის პირველი მუხლით და რა ფარგლებში

პრინციპის დონეზე, მეშვიდე ოქმის პირველის მუხლის პირველი პუნქტი მოითხოვს, რომ, პირველ ყოვლისა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მიაწოდონ ინფორმაცია იმ ფაქტობრივი ელემენტების შესახებ, რომლებმაც უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო მიიყვანა დასკვნამდე, რომ პირი წარმოადგენს საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოებისთვის; მეორე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მიეცეთ წვდომა იმ დოკუმენტების შინაარსსა და საქმის მასალებზე, რომლებიც საფუძველად დაედო მათი გაძევების შესახებ გადაწყვეტილებას. სასურველია, რომ ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა გარანტირებული იყოს წერილობითი ფორმით, ნებისმიერ შემთხვევაში კი იმგვარად, რომ იძლეოდეს ეფექტიანი დაცვის განხორციელების საშუალებას, აუცილებლობის შემთხვევაში - ამ ინფორმაციის გაცემაზე ჯეროვნად დასაბუთებული შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობით.

(ბ) ამ უფლებებზე დასაშვები შეზღუდვების დაწესება (შემდგომში - უცხო ქვეყნის მოქალაქის პროცედურული უფლებები)

ტერორიზმთან ბრძოლის მნიშვნელობის მიუხედავად, განსახილველ უფლებებთან მიმართებით, ნებისმიერი შეზღუდვის დაწესებამ არ უნდა ხელყოს მეშვიდე ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული პროცედურული დაცვა ამ ნორმით დადგენილი გარანტიების არსის უფლებელყოფის ხარჯზე. შეზღუდვების დაწესების პირობებშიც კი, უცხო ქვეყნის მოქალაქეს უნდა მიეცეს გაძევების საწინააღმდეგო არგუმენტაციის წარმოდგენის ეფექტიანი საშუალება და პირი დაცული უნდა იყოს ნებისმიერი სახის თვითნებობისგან.

(გ) დაწესებული შეზღუდვების მეშვიდე ოქმის პირველ მუხლთან თავსებადობის შეფასებისას გამოსაყენებელი კრიტერიუმები

მე-5 და მე-6 მუხლების ირგვლივ განვითარებული სასამართლო პრაქტიკა მიგვითითებს მეშვიდე ოქმის პირველი მუხლით გარანტირებული უფლებების შეზღუდვის შესაფასებლად გამოსაყენებელი მეთოდოლოგიის ინდიკატორებზე, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ნორმით გათვალისწინებული პროცედურული გარანტიები, შესაძლოა, არ იყოს იდენტური.

პირველ ყოვლისა, უნდა დადგინდეს, სათანადოდ დასაბუთა თუ არა კომპეტენტურმა დამოუკიდებელმა ორგანომ უცხო ქვეყნის მოქალაქის პროცედურული უფლებების შეზღუდვა, კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, ევროპული სასამართლო შეამოწმებს, აღნიშნული შეზღუდვები იყო თუ არა სათანადოდ დაცული დამაბალანსებელი ფაქტორებით, განსაკუთრებით კი - პროცედურული გარანტიებით, რომლებიც განსახილველი უფლებების არსს შეინარჩუნებდა. შესაბამისად, მეშვიდე ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში დაწესებული მხოლოდ ის შეზღუდვები ჩაითვლება დასაშვებად, რომლებიც კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სათანადოდ დასაბუთებულია და ამასთან, დაბალანსებულია პროცედურული გარანტიებით. მოცემული საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს საქმისწარმოებას, როგორც ერთ მთლიანობას.

(ი) გამართლებული იყო თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეების „პროცედურული უფლებების“ შეზღუდვა

სათანადოდ დასაბუთებული მიზეზების არსებობა - როგორცაა, მაგალითად, ეროვნული უსაფრთხოების დაცვა - შეიძლება ამართლებდეს შეზღუდვების დაწესებას, თუმცა ეროვნულ დონეზე თითოეული ასეთი შეზღუდვის დაწესების აუცილებლობის შემოწმების პროცესი უნდა წარიმართოს თვითნებობისგან დაცვის გარანტიებით. ამ მიმართულებით საჭიროა, რომ შეზღუდვის დაწესების თაობაზე გადაწყვეტილება იყოს ჯეროვნად დასაბუთებული, და განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც პირს არ ეცნობება ხსენებული მიზეზები, საჭიროა, ისეთი პროცედურის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება მიზეზების სათანადოდ, დეტალურად გამოკვლევა.

მოცემულ შემთხვევაში პირველი კრიტერიუმი შემდეგნაირია: უცხო ქვეყნის მოქალაქის პროცედურული უფლებების შეზღუდვის საჭიროების საკითხი განიხილა თუ არა

დამოუკიდებელმა ეროვნულმა ორგანომ (სასამართლო ან სხვა). მნიშვნელოვანია ამ ორგანოსთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები და განსაკუთრებით, ჰქონდა თუ არა მას გასაიდუმლოებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის შენარჩუნების საკითხის განსჯის უფლებამოსილება.

შემდგომ ეტაპზე, ევროპულმა სასამართლომ უნდა შეამოწმოს სახელმწიფო ორგანოსთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები, უცხო ქვეყნის მოქალაქის პროცედურული უფლებების შეზღუდვის თაობაზე მის მიერ გაკეთებულ დასკვნებზე დაყრდნობით. თუ უფლებამოსილმა ორგანომ მიიჩნია, რომ ეროვნული უსაფრთხოების ინტერესი არ ამართლებდა სადავო შეზღუდვას, ევროპული სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ დასახელებულმა ორგანომ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კომპეტენტურ უწყებას მიმართა დოკუმენტების დასაიდუმლოების საკითხის გადახედვის მიზნით, ან თავად იყო უფლებამოსილი, განესაიდუმლოებინა ისინი, რათა გადაეცა უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის, ან სულ მცირე, პირისთვის შეეტყობინებინა სადავო დოკუმენტების შინაარსი. აღნიშნულის საპირისპიროდ, თუკი დადგინდება, რომ დაწესებული შეზღუდვა გამართლებული იყო ეროვნული უსაფრთხოების დაცვის ინტერესით, უნდა გაირკვეს, ამ გადაწყვეტილების მიღებისას უფლებამოსილმა ორგანომ რამდენად ჯეროვნად შეძლო კონკურენტული ინტერესების იდენტიფიცირება და დაბალანსება.

თუმცა, თუ ეროვნული უფლებამოსილი ორგანო ვერ შეძლებს, ან სათანადოდ ვერ შეძლებს უცხო ქვეყნის მოქალაქის პროცედურული უფლებების შეზღუდვის საჭიროების შეფასებას ან დასაბუთებას, ეს ავტომატურად არ გამოიწვევს მეშვიდე ოქმის პირველი მუხლის დარღვევას. უნდა შემოწმდეს, განსახილველ საქმეში გამოყენებულ იქნა თუ არა სხვა დამაბალანსებელი ღონისძიებები და იყო თუ არა ისინი საკმარისი უცხო ქვეყნის მოქალაქის პროცედურულ უფლებებთან დაკავშირებით გამოყენებული შეზღუდვების შესარბილებლად იმდენად, რომ შეენარჩუნებინა ამ უფლებათა არსი. რაც უფრო ზედაპირულია ეროვნულ დონეზე განხორციელებული კონტროლი, მით უფრო მკაცრად შეამოწმებს ევროპული სასამართლო დამაბალანსებელ ფაქტორებს. კერძოდ, მეტად ზედაპირული შემოწმება საჭიროებს ძლიერი დამაბალანსებელი ფაქტორების გამოყენებას.

ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა შემოწმების ორი სახელმძღვანელო პრინციპი: პირველი - რაც უფრო მეტად იზღუდება უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია, მით უფრო მნიშვნელოვანია შესაბამისი გარანტიების არსებობა; მეორე - როდესაც საქმეში იკვეთება უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები, აუცილებელია დამაბალანსებელი გარანტიების შესაბამისად გაძლიერება.

(ii) რამდენად საკმარისი იყო დამაბალანსებელი ფაქტორები „პროცედურული უფლებების“ შეზღუდვის კომპენსირებისთვის

ამ ფაქტორების ტიპების და ფარგლების თაობაზე ევროპული კონსენსუსის არარსებობის პირობებში, სახელმწიფოებს უნდა მიენიჭოს ქმედების გარკვეული თავისუფლება. საჭიროა ქვემოთ მოცემულ ფაქტორთა არამომწეურავი ჩამონათვალის მხედველობაში მიღება:

(1) უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის მისი გაძევების მიზეზების და ამგვარი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად გამოყენებული დოკუმენტების შინაარსის შესახებ გამჟღავნებული ინფორმაციის რელევანტურობა

უნდა დადგინდეს, სამართალწარმოების ფარგლებში რამდენად მიაწოდა კომპეტენტურმა ორგანომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებების შესახებ ინფორმაცია, გამოძიების სათანადო მიმდინარეობის და კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების გათვალისწინებით. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, მოცემულ საქმეში რამდენად ჰქონდა კონკრეტულ სასამართლო ან დამოუკიდებელ ორგანოს (საიდუმლო ინფორმაციის შემცველი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე) იმის განსაზღვრის უფლებამოსილება, რა ფაქტობრივი ინფორმაცია უნდა გამჟღავნებულიყო უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის, ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნის გარეშე - იმის გათვალისწინებით, რომ გამჟღავნება სამართალწარმოების ისეთ ეტაპზე უნდა მოხდეს, როდესაც პირს აქვს სადავო ინფორმაციის ექვექვემ დაყენების რეალური შესაძლებლობა.

(2) უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ეროვნულ დონეზე არსებული მექანიზმები მისი უფლებების შეზღუდვის დაბალანსებისთვის

უნდა დადგინდეს, მიაწოდა თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეს ეროვნულმა ოფიციალურმა ორგანოებმა სათანადო ინფორმაცია, სულ მცირე, წარმოების უმთავრეს ეტაპებზე. ასეთი ინფორმაცია განსაკუთრებით სასარგებლოა, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქეს არ ჰყავს წარმომადგენელი და რელევანტური ინფორმაციის ნაკლებობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს მისთვის ეროვნული კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით სარგებლობის ხელყოფა. აღნიშნული ფაქტორი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა ამ ტიპის საქმეების განხილვის დაჩქარებულ წესს ითვალისწინებს.

(3) ისარგებლა თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქემ წარმომადგენლის ყოლის უფლებით

პირველ ყოვლისა, ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს კანონიერი წარმომადგენლის ყოლის რეალურ შესაძლებლობას. უცხო ქვეყნის მოქალაქის შესაძლებლობა - წარმომადგენელი იყოს ადვოკატის მიერ, ან ჰყავდეს სპეციალიზებული ადვოკატი, რომელსაც გააჩნია საქმეში არსებულ საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომისთვის საჭირო ავტორიზაცია - წარმოადგენს მნიშვნელოვან დამაბალანსებელ ფაქტორს. გარდა ამისა, ევროპული სასამართლო შეაფასებს, რამდენად ჰქონდა უცხო ქვეყნის მოქალაქეს განსახილველი სამართალწარმოების ფარგლებში ამგვარი წარმომადგენლობით სარგებლობის ეფექტიანი საშუალება. ამასთან, მესამე მნიშვნელოვანი გარანტია არის მოცემულ საქმეში კანონიერი წარმომადგენლისთვის მინიჭებული უფლებები: მაგალითისთვის, რა ფარგლებში ჰქონდა წარმომადგენელს საქმის მასალებზე, მათ შორის, საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა და

შეუზღუდა თუ არა მას დაინტერესებულ პირთან კომუნიკაცია მას შემდეგ, რაც საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა მიიღო.

(4) ჩართული იყო თუ არა წარმოებაში დამოუკიდებელი ორგანო

შესაძლებელია ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხების მხედველობაში მიღება, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა აუცილებელი არ არის მეშვიდე ოქმის პირველ მუხლთან თავსებადობის დასადგენად:

- მონაწილეობდა თუ არა პირის გამეგების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ან ასეთი გადაწყვეტილების კანონიერების ან არსებითი მხარის შემოწმებასთან დაკავშირებულ წარმოებაში ერთი ან მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო (ადმინისტრაციული ან სასამართლო); და თუკი ასეთი ორგანო არის სასამართლო, წამოიჭრება ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში მისი იერარქიის განსაზღვრის საკითხი. ამ კონტექსტში, გამეგების ღონისძიების კანონიერებაზე სასამართლო ზედამხედველობას უფრო ძლიერი დამაბალანსებელი ეფექტი აქვს, ვიდრე ამავე საკითხის ადმინისტრაციული წარმოების ფორმით გაკონტროლებას;
- ჰქონდა თუ არა განმცხადებელს მის წინააღმდეგ არსებული პრეტენზიების დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე გასაჩივრების ქმედითი საშუალება;
- ჰქონდა თუ არა დამოუკიდებელ ორგანოს პირის გამეგების შესახებ მიმართვის ან გადაწყვეტილების საფუძვლის და ასევე, თანდართული მტკიცებულებების რეალურად გადასინჯვის უფლებამოსილება; თუკი ორგანოს გააჩნდა ასეთი უფლებამოსილება, რამდენად ჯეროვნად შეძლო მისი გამოყენება განსახილველ საქმეში; კერძოდ, ჰქონდა თუ არა დამოუკიდებელ ორგანოს წვდომა ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის მიერ შედგენილ საქმეზე სრულად, საიდუმლო დოკუმენტების ჩათვლით; ჰქონდა თუ არა ამ დოკუმენტების ნამდვილობის და პირის გამეგების თაობაზე მიმართვის ან გადაწყვეტილების საფუძვლად გამოყენებული საიდუმლო ინფორმაციის სანდოობის და სისწორის შემოწმების უფლებამოსილება. ამ კუთხით, პრეზუმირებული არაა, რომ პირის გამეგების მოთხოვნის ან გამეგების გადაწყვეტილების საფუძვლად პასუხისმგებელი ორგანოს მიერ მითითებული ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინტერესები მოცემულ საქმეში ნამდვილად იკვეთება და ისინი კანონიერია: დამოუკიდებელ ორგანოს უნდა ჰქონდეს საქმეში არსებული მტკიცებულებების ჭრილში ფაქტების გადამოწმების უფლებამოსილება;
- აქვს თუ არა პირის გამეგების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ზედამხედველობის განმახორციელებელ დამოუკიდებელ ორგანოს განსახილველი გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის უფლებამოსილება, თუ საქმის მასალებიდან გამომდინარე დაადგენს, რომ გამეგების მიზეზად ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დასახელება მოკლებული იყო ყოველგვარ დასაბუთებულ და ადეკვატურ ფაქტობრივ საფუძველს;
- პირის გამეგების აუცილებლობა იკვეთებოდა საქმის მასალებიდან და დამოუკიდებელი ორგანოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან და

ეროვნული უფლებამოსილი ორგანოს მიერ განხორციელებული ზედამხედველობის ხასიათი და ხარისხი, მცირედით მაინც, იკვეთება მის გადაწყვეტილებაში.

მოცემული პრინციპების განსახილველ საქმისთან მისადაგება

მოცემულ საქმეში იკვეთება, რომ განმცხადებლებს მნიშვნელოვნად შეეზღუდათ მათი გამეგების შესახებ გადაწყვეტილების საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი მონაცემების და შესაბამისი დოკუმენტების შინაარსის თაობაზე ინფორმაციის მიღების უფლება. თუმცა, ეროვნულმა სასამართლომ არც ასეთი შეზღუდვის საჭიროებაზე იმსჯელა და არც დააზუსტა ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული არგუმენტები იმ მიზეზით, რომ ეროვნული კანონმდებლობა მას არ ანიჭებდა საკუთარი ინიციატივით ასეთი საკითხების გამოკვლევის უფლებამოსილებას. რუმინეთის დაზვერვის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ პრეს-რელიზში იმაზე უფრო დეტალური ფაქტობრივი ინფორმაციის ასახვა, ვიდრე განმცხადებლებს მიეწოდათ სამართალწარმოების ფარგლებში, ეწინააღმდეგება განმცხადებლებისთვის ამ კონკრეტულ ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვის საჭიროების იდეას. შესაბამისად, ევროპულ სასამართლოს მოუწია მკაცრი ზედამხედველობის განხორციელება შეზღუდვის დამაბალანსებელი ფაქტორების შემოწმებისას. განმცხადებლებმა მიიღეს მხოლოდ ძალიან ზოგადი ინფორმაცია მათ წინააღმდეგ არსებული ბრალდებების თაობაზე მაშინ, როდესაც საქმის მასალებიდან არ იკვეთებოდა მათი რაიმე ქმედება, რომელიც საფრთხის ქვეშ დააყენებდა ეროვნულ უსაფრთხოებას. გამოყენებული სამართლებრივი ნორმების ნუმერაციის მითითება, *a minima* ვერ გაუტოლდება ბრალდებების შესახებ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. გარდა ამისა, პრეს-რელიზი ვერ ჩაითვლება სათანადო კონკრეტიკის და სიზუსტის ინფორმაციის მიწოდების საშუალებად, რომელიც მორგებული იქნებოდა დავის კონკრეტულ მახასიათებლებსა და მხარეთა პროცედურული უფლებების ფარგლებზე. ამასთან, განმცხადებლებს არანაირი ინფორმაცია არ მიაწოდეს სამართალწარმოების ძირითადი ეტაპების და საიდუმლო დოკუმენტების სპეციალიზებული ადვოკატის მიერ გაცნობის შესაძლებლობის შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ განმცხადებლების ადვოკატებს არ ჰქონდათ საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომის ავტორიზაცია, ეროვნული სასამართლოს წინაშე მათი გამოცხადება - მარწმუნებლების წინააღმდეგ ბრალდებების დაზუსტების ყოველგვარი შესაძლებლობის გარეშე - არ უზრუნველყოფდა განმცხადებლების ეფექტიან დაცვას. დაბოლოს, არ იკვეთება, ჰქონდა თუ არა ეროვნულ სასამართლოს წვდომა საიდუმლო ინფორმაციაზე სრულად ან შეამოწმა თუ არა მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სანდოობა და სარწმუნოობა. სასამართლოს მიერ განხორციელებული ზედამხედველობის ხასიათი და ხარისხი მცირედაც კი არ იკვეთებოდა მისი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან. შესაბამისად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ გამეგების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო მაღალი ინსტანციის დამოუკიდებელმა სასამართლო ორგანომ - ამ ორგანოს მიერ რუმინული კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების რეალურად გამოყენების ფაქტის დადგენის შესაძლებლობის გარეშე - არ იყო საკმარისი განმცხადებლებისთვის პროცედურული უფლებებით სარგებლობის კუთხით დაწესებული შეზღუდვების დასაბალანსებლად.

შეჯამების სახით, მთლიანობაში სამართალწარმოების პროცესის და სახელმწიფოსთვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების გათვალისწინებით, ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები არ იყო დაბალანსებული იმგვარად, რომ შეენარჩუნებინა მემვიდე ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული უფლებების არსი.

დასკვნა: დარღვევა (მოთხოვნილი ხმით სამის წინააღმდეგ).

41-ე მუხლი: არამატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით, სახელმწიფოს დაეკისრა 10 000 ევროს გადახდა თითოეული განმცხადებლის სასარგებლოდ. მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

(იხ. ასევე, *Schatschaschwili v. Germany* [GC], 9154/10, 15 December 2015, Information Note 191; *Ibrahim and others v. the United Kingdom* [GC], 50541/08 and 3 others, 13 September 2016, Information Note 199; *Regner v. the Czech Republic* [GC], 35289/11, 19 September 2017, Information Note 210; *Ljatić v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, 19017/16, 17 May 2018, Information Note 218).